



რიკსანტეკნიკენ  
კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატი, ოსლო, ნორვეგია

ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომალები  
სენაკის მუნიციპალიტეტი  
საქართველო

2009 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ნოქალაქევში  
განხორციელებული პირველი მისიის

## ანბარიში

ანნა სოფია ჰიგენი



სარფსბორგი / ოსლო 2009

**სახელმოდება:**  
რინამდებარე ანგარიში  
გამოიცემა ინგლისურ და  
ქართულ ენებზ.

**პროექტი:**

**ავტორი:**  
**დეპარტამენტი/სექტორი:**

**მოგლე აღმოჩენილობა:**

**საკვანძო  
მიმართულებები /  
ჟრამინოლოგია:**

**თარიღი:**  
06გლისურენოვანი  
ვერსიის  
გვერდების / ასლების  
რაოდენობა:

**REG.NR.:**

**ასლები დაკვირვილია:**  
**რიკსანტევარმნი:**

**ანგარიში 1:**  
ნოქალაქევის მისია, ოქტომბერ-ნოემბერი, 2009

ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული  
კომპლექსის მენეჯმენტ- გეგმის მომზადება, სენაკის  
მუნიციპალიტეტი, საქართველო

**ანნა სოფია პიგენი**  
**რიკსანტევარმნის კონსერვაციის დეპარტამენტი,**  
**საერთაშორისო სექტორი**

ნოქალაქევის კომპლექსი, რომელიც 20 ჰექტარზეა  
გადაჭიმული, უმეტესწილად IV-VII საუკუნეების ქვის  
ძეგლებს მოიცავს. მათი უმეტესობა დღემდე  
ნანგრევების სახითა წარმოდგენლი. ასევე, კველევების  
შედეგად გამოვლენილია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების  
მეტად მნიშვენლოვანი არქეოლოგიური ნაშთები.  
მისის უმთავრესი მიზანი უკავშირდებოდა  
ნოქალაქევის საიტის მენეჯმენტ-გეგმის  
შემუშავებისათვის აუცილებელ მოსამზადებელ  
სამუშაოებს. ნოქალაქევის საიტის დასრულებული  
მენეჯმენტ-გეგმა საქართველოში არსებული სხვა  
საიტებისა და კომპლექსებისათვის იქცევა მენეჯმენტ-  
გეგმის ერთგვარ სახელმძღვანელოდ.

კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი; მენეჯმენტის  
დაგეგმვა; პრეზენტირება; კონსერვაცია; ქვის  
დამუშავება; ნოქალაქევი, საქართველო

2009 წლის დეკემბერი

40/24

**RA 09-176**

[postmottak@ra.no](mailto:postmottak@ra.no)

დრონინგენის კარიბჭე  
საფოსტო კუთი: 8196 Dep,  
N-0034 ოსლო, ნორვეგია  
ტელ: + 47 22 94 04 00  
ტელ/ფაქსი: + 47 22 94 04 04  
ელ-ფოსტა: [postmottak@ra.no](mailto:postmottak@ra.no)

<http://www.riksantikvaren.no/>

**ოსთვოლდის საგრაფოს საკონსულო:**

საფოსტო კუთი 220, N-1702, სარფსბორგი, ნორვეგია. ტელ: +47 69 11 70 00  
ელ-ფოსტა: [sentralpost@ostfoldfk.no](mailto:sentralpost@ostfoldfk.no)

**ფოტოები:** ანნა სოფია პიგენი, © Østfold fylkeskommune  
ფოტო გარებანზე: IV საუკუნის ქონგურებიანი ციხე-გალავანი, რომელიც XX  
საუკუნის 70-იან წლებში იქნა აღდგენილი. მისი პირვანდელი იერ-სახე დაუდგენელია.



წინასიტყვაობა და წანამძღვრები: ----- 3

1. მისის პროგრამა -----	6
2. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაცია ---	7
3. ნოქალაქევის მოკლე აღწერილობა -----	8
3.1 ისტორია და ქრონოლოგია -----	8
3.2 დოკუმენტაცია -----	11
3.3 კონსერვაციის ისტორია -----	12
3.4 სოციო-ეკონომიკური სიტუაცია -----	13
4. კონსერვაციის პრობლემები /სირთულეები/ -----	14
4.1 გალავნის კედლები -----	14
4.2 მცენარეული საფარი -----	16
4.3 ეკლესიის კედლის მხატვრობა -----	17
4.4 ხის ტრადიციული ოდა სახლი -----	18
5. პრეზენტირება -----	19
5.1 ნოქალაქევის მუზეუმი -----	19
5.2 საიტის პრეზენტირება და ტურიზმი -----	20
6. მენეჯმენტ-გეგმის შედგენა -----	21
7. რეკომენდაციები -----	23
8. სამუშაო გეგმა-გრაფიკი -----	28
<b>დანართი: -----</b>	<b>28</b>
<b>მემორანდუმი: ნოქალაქევი – რეგიონის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი</b>	

## **თავი: წინასიტყვაობა და წანამძღვრები:**

2006 წელს რიკსანტეკვარენის ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის ინიცირებით საფუძველო ჩაეყარა საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობას კულტურული მემკვიდრეობის დარგში, რომელიც ბეთლემის ისტორიული უბნის ისტორიულ-არქიტექტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციით დაიწყო. 2006 წლის სექტემბერში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორი ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიწვეული იქო ნორვეგიაში - კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის მიმართულებით გამოცდილების მისაღებად. 2007 წლის მაისის ში, კულტურული მემკვიდრეობის დარგში ქართულ-ნორვეგიული თანამშრომლობის 3 წლიანი გეგმის მიზნებისა და ამოცანების განხსაზღვრისათვის ნორვეგიელ ექსპერტთა ჯგუფი საქართველოს ეწვია. 2008 წლის სექტემბერში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის 2 წარმომადგენელი ეწვია რიკსანტეკვარენს - ოსლოში, ტრომსოს უნივერსიტეტის მუზეუმს და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს - ალტას მუზეუმს - იმისათვის რომ მიეღოთ გამოცდილება კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტში, მუზეუმის მენეჯმენტში და მსოფლიო მემკვიდრეობის საიტის პრეზენტაციაში.

2008 წლის ნოემბერში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და ნორვეგიის გარემოს დაცის სამინისტროს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაბების მემორანდუმს. 2009 წლის ივლისში კი ახლად დაარსებულ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და რიკსანტეკვარენს შორის დაიდო ურთერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც სხვადასხვა მიმართულებას მოიცავდა. საქართველოს მხარის მიერ გამოიხატა ინიციატივა ნოქალაქევის მენეჯმენტ-გეგმის შედგენის საჭიროებაზე, რაც აღნიშნული ხელშეკრულების ერთ-ერთ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსისთვის, რომელიც სენაკის მუნიციპალიტეტშია, მენეჯმენტ-გეგმის მომზადება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ საქართველოში არსებული კულტურული მემკვიდრეობის არც ერთი საიტისათვის აქამდე არ შექმნილა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მენეჯმენტ-გეგმა. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულების უმთავრესი მიზანია ნოქალაქევისათვის ისეთი მენეჯმენტ-გეგმის შემუშავება, რომელიც სახელმძღვანელო აღმოჩნდება საქართველოში არსებული სხვა საიტებისა და კომპლექსებისათვის.

2009 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, რიკსანტეკვარენის თხოვნის საფუძველზე, 3 ნორვეგიელმა ექსპერტმა განახორციელა პირველი მისია ნოქალაქევში: ანნა-სოფია ჰიგენი, დოქტორი, დელეგაციის ხელმძღვანელი, ოსთფოლდის მხარის კულტურული მემკვიდრეობის საკონსულოს ხელმძღვანელი; კნუტ ჰელსკონი, დოქტორი, ტრომსოს მუზეუმისა და უნივერსიტეტის პროფესორი;

კარინ ტანსემი, ალტას მუზეუმის კურატორი

ჯორგენ ჯორგენსენი, რიკსანტეკვარენის მრჩეველი, რომელიც, ასევე, ესწრებოდა თბილისში გამართულ პირველ ოფიციალურ შეხვედრებს.

მისიის მიზანი:

- ნოქალაქევისათვის მენეჯმენტის გეგმის მოდელის შემუშავება – მასტერ პლანისა და სამოქმედო გეგმის ჩათვლით;
- ქართულ-ნორვეგიული კოოპერაციის ფარგლებში ნოქალაქევის კომპლექსთან დაკავშირებული სამომავლო პროექტების მოაზრება და რეკომენდაციების სახით რიკასანტეკვარენისათვის წარდგენა.

გულწრფელი მადლობა გვინდა გადაუხადოთ ჩვენს მონდომებულ და სტუმართმოყვარე მასპინძლებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან, რომელთაც ჩვენი ვიზიტი გახადეს საინტერესო, შედეგიანი და, ამასთან, ძალიან სასიამოვნო; და რომლებმაც მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია წარმოგვიდგინეს: გენერალურ დირექტორს –ნიკოლოზ ვაჩეიშვილს, მოადგილეებს – ზურაბ მიმინოშვილს და დავით ანდლულაძეს, საინფორმაციო სისტემების სამსახურის უფროსს – ლეილა თუმანიშვილს, ხარისხის კონტროლისა და კოორდინაციის მენეჯერს-ირმა დოლიძეს, იუნესკოს ეროვნულ კოორდინატორს რუსუდან მირზიკაშვილს, ფონდების მოძიებისა და პროექტ-მენეჯერს – მანანა ვარძელაშვილს, რომელიც დაუდალავად ითავსებდა ჩვენს თარჯიმნობასაც, ნოქალაქევის არქეოლოგირიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორს – დავით ლომიტაშვილს, კავშირის - “შევინარჩუნოთ მემკვიდრეობა” – ხელმძღვანელს ივანე ყენიას, ჩვენს გამოცდილსა და ერთგულ მძღოლს – სოსო მარიხაშვილს; ასევე, გვინდა გულითადი მადლობა გადავუხადოთ ეკატერინე ლომიძის ოჯახს, ვინც გულთბილი მასპინძლობა გაგვიწია ნოქალაქევში, “ეკატერინეს შატოში” – ჩვენი ვიზიტისას.

სარფსბორგი / ოსლო, 8 დეკემბერი, 2009

ანნა-სოფია ჰიგენი

## **1. მისის სამუშაო პროგრამა:**

### **23 ოქტომბერი, 2009**

ნორვეგიის ექსპერტების თბილისში ჩამოსვლა 00.55სთ;  
 კულტურული მემკიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ოფიციალური შეხვედრა  
 – საქართველოს კულტურული მემკიდრეობის დაცვის სტრუქტურისა  
 ფუნქციონირების შესახებ.

### **24 ოქტომბერი, 2009**

თბილისის კულტურული მემკიდრეობის ძეგლების, მათ შორის ქართულ-  
 ნორვეგიული სარესტავრაციო პროექტის – ბეთლემის უბნის დათვალიერება

### **25 ოქტომბერი, 2009**

ნოქალაქევში მანქანით გამგზავრება  
 საიტის პირველი დათვალიერება და განხილვა

### **26 ოქტომბერი, 2009**

ნოქალაქევის საიტის ცალკეული ძეგლებს დათვალიერება; არქეოლოგიური  
 მდგომარეობისა და სამუშაოების შესწავლა.  
 მუზეუმის გაცნობა (არსებული ინფრასტრუქტურისა და კოლექციის დათვალიერება)  
 ხის ტრადიციული ოდა-სახლის დათვლალიერება

### **27 ოქტომბერი, 2009**

ნოქალაქევის საიტის ზედა ტერასის ძეგლების დათვალიერება: გალავანი, ციხე,  
 კოშკები, ციხადელი, ეკლესიები.  
 საიტზე არსებული დოკუმენტაციის გაცნობა;  
 მენეჯმენტ-გეგმის, მასტერ პლანისა და სამოქმედო გეგმების სტრუქტურაზე მუშაობა;  
 სამომავლო შესაძლო აქტივობების დაგეგმვა.

### **28 ოქტომბერი, 2009**

ორმოცმოწამეთა ექლესის დათვალიერება;  
 არეალის სოციო-ეკონომიკური სიტუაციის შესწავლა;  
 მუზეუმში არსებული მდგომარეობისა და პოტენციალის განხილვა.  
 სამომავლო პროექტების/ვორქშოფების განხილვა.

### **29 ოქტომბერი, 2009**

ინფრასტრუქტურისა და სოციო-ეკონომიკური სიტუაციის განხილვა;  
 დისკუსია საიტის მონიტორინგისა და შენარჩუნების შესახებ;  
 დისკუსია ტურიზმის შესაძლებლობების შესახებ;  
 სამომავლო თანამშრომლობის ფარგლებში სამუშაოთა დაგეგმვა.  
 სენაკის მუნიციპალიტეტის რწმუნებულის კობა კილასონიას გაცნობა და მასთან  
 ერთად ოფიციალური ვახშამი.

### **30 ოქტომბერი, 2009**

გამომგზავრება თბილისში  
 გზად - IX საუკუნის ძეგლის – უბისას ეკლესიისა და კოშკის დათვალიერება

### **31 ოქტომბერი, 2009**

ავტობუსით მირზაანში გამგზავრება მუზეუმში დაგეგმილ ღონისძიებებაზე  
 (ფიროსმანობა) დასაწრებად.

### **1 ნოემბერი, 2009**

ეროვნული მუზეუმის დათვალიერება  
 დღის მეორე ნახევარში ჰიგენისა და ჰელსკოგის ბაქოში მატარებლით გამგზავრება.

### **2 ნოემბერი, 2009**

ტანსემის გამგზავრება ნორეგიაში თვითმფრინავით.

## 2. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაცია

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, რომელიც მეტ-ნაკლებად ნორვეგიის რიკსანტეკვარენის ექვივალენტურია, დაფუძნდა 2008 წელს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან და ფარავს ლოკალური, ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის ყველა კომპლექსურ ძეგლს. მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა იმართებოდა საბჭოური კანონმდებლობის შესაბამისად, 1991 წლიდან მოყოლებული, ახალი რეალიების ფონზე, მდგომარეობა შეიცვალა. დღესდღეობით, საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში სხვადასხვა შესაძლებლობების, პოტენციალისა და კომპეტენციის 11 მუზეუმ-ნაკრძალია. თუმცა, გადაწყვეტილების მიღების ძირითადი პრეროგარივა ცენტრალიზებულია თბილისში. გამოკვეთილია მოტივაცია ლოკალური და რეგიონალური შესაძლებლობების გაძლიერებისა და მუზეუმების ინფრასტრუქტურაზე განვითარებისა, რომლის საბოლოო მიზანიც ამგვარი ერთეულების საქართველოს ყველა რეგიონსა და პროვინციაში დაფუძნებაა.

თითოეული მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაცია ვალდებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს წარუდგინოს მათი სამოქმედო არეალის ფარგლებში არსებულ ძეგლებზე განხორციელებული ინვენტარიზაცია და შესაბამისი რეკომენდაციები. ისინი პასუხისმგებელნი არიან მონიტორინგზე, მაგრამ, ამავდროულად, საჭიროებენ გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებას რეგულარულ, სისტემურ მართვასა და ძეგლთა დაცვის სხვა მიმართულებებით. ამიტომ, ნორვეგიასთან თანამშრომლობა განიხილება როგორც მენეჯმენტის სისტემის გუმჯობესებისა და გაძლიერების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

მუზეუმ-ნაკრძალების დაფინანსება ნაწილობრივ ეფუძნება სახელმწიფო საბაზო დაფინანსებას, ნაწილობრივ კი ადგილობრივ შემოსავლებს. საბაზო დაფინანსება ფარავს ხელფასებსა და მიმდინარე ხარჯებს; ბილეთებისა და სხვა გაყიდვებიდან, ასევე, ტურისტული მომსახურებიდან შემოსული თანხა ნაწილობრივ უბრუნდება მუზეუმ-ნაკრძალს. მიუხედავად იმისა რომ, მუზეუმ-ნაკრძალები ექვემდებარებიან სახელმწიფო კანონმდებლობას, დღესდღეობით მზად არიან ახალი კერძო ინიციატივებისათვის. აღნიშნული სისტემები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია, და სააგენტო – სახელმწიფო და კერძო მესაკუთრეთა როლისა და კომპეტენციის საზღვრების დადგენის პროცესშია.

მართლმადიდებლური ეკლესია საქართველოში ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენს და იმ დროიდან მოყოლებული, რაც ის გახდა ყველა მართლმადიდებლური და სხვა რელიგიური ძეგლის მეპატრონე, ენიჭება ცენტრალური ადგილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის განვითარების, კონსერვაციასა და მენეჯმენტის თვალსაზრისით. რიგ შემთხვევებში ეკლესიას შეუძლია ითხოვის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების გადაცემაც. ამ საკითხების დარეგულირებას ეხება 2003 წელს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

ძეგლის დაცვისა და მართვის ნებისმიერი აქტი თუ ინიციატივა სააგენტოსთან უნდა იყოს შეთანხმებული; ეს სახელმწიფო ინსტიტუცია, ასევე, პასუხისმგებელია რელიგიურ ძეგლზე დაგეგმილ სამუშაოებზე ნებართვის გაცემასა და განხორციელებული სამუშაოების კონტროლზე. სახელმწიფო უფლებამოსილია ჩაერიოს, თუ სამუშაოები არ იქნა სწორედ განხორციელებული. რაც შეეხება მუზეუმ-ნაკრძალს, როგორც მმართველობის ადგილობრივი ოგონი, ის პასუხისმგებელია გაუწიოს ზედამხედველობა და განახორციელოს მონიტორინგი მის საზღვრებში არსებულ ძეგლებზე წარმოებულ სამუშაოებზე და შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს. არარელიგიური ძეგლების შემთხვევაში, სააგენტო იხილავს და ამტკიცებს სარეაბილიტაციო პროექტებს და აშ. ამასთან, უშუალოდ სამუშაოები - სააგენტოს მხრიდან მუდმივი კონტროლის ფონზე - შეიძლება წარმოებულ იქნეს კერძო ფირმებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. თითოეულ ასეთ პროექტს უნდა ახლდეს წინმსწრები გეგმებისა და საჭირო დოკუმენტების ნუსხა, განხორციელების შემდეგ კი შესრულებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტაცია - როგორც პროექტის მსვლელობისას, ასევე მისი დამთავრების შემდეგ. სააგენტოს აზრით, ფირმების მიერ წარმოებული სამუშაოების მთელი პროცესის ამგვარი კონტროლი ეფექტური და შედეგიანია.

2007 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო შეუდგა 2 ინტეგრირებული საიტის მენეჯმენტ-გეგმის შემუშავებას, რომელთაგანაც ერთ-ერთი - ნოქალაქევის მუსეუმ-ნაკრძალია. გეგმები არ არის დასრულებული და ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია. სააგენტო დაინტერესებულია შეიმუშავოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მენეჯმენტ-გეგმები.

მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ინფრასტრუქტურასა და ადგილობრივთა მონაწილეობაზე. ნოქალაქევის მსგავსად, კულტურული მემკვიდრეობის საიტები სოფლებში ან მათ სიახლოეს მდებარეობენ, რაც ლოკალურ კოოპერაციას განაპირობებს. სწორედ ამიტომ, შედეგის მისაღწევად მათი თანამონაწილეობა აუცილებელი პირობაა. საზოგადოდ, ადგილობრივი მმართველობები აცნობიერებენ კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მნიშვნელოვანებას; ამასთან, მოხარულები არიან რომ, ცენტრალური ხელისუფლება აქტიურია და გამოპყოფს შესაბამის თანხებს. რეგიონების უმეტესობა დარიბია და ეკონომიკურად უუნარო, თუმცა მათ გათვითცნობიერებული აქვთ რომ, კულტურული მემკვიდრეობა ადგილობრივ მოქალაქეთა დასაქმებისა და შემოსავლების მნიშვნელოვან რესურს წარმოადგენს.

### 3 თავი: ნოქალაქევის მოკლე აღწერილობა

#### **3.1 ისტორია და ქრონოლოგია**

ნოქალაქევის კომპლექსი ან ციხეგოჯი წარმოადგენს მემკვიდრეობის სხვადასვა ტიპის ობიექტების ერთობლიობას. ეველაზე ადრეული არქეოლოგიური ფენები ძვ.წ. VIII-VII სს. თარიღდება. არ არის დაზუსტებული რომ, ბიზანტიურ წყაროებში აღწერილი “არქეოპოლისი” სწორედ ნოქალაქევია. სახელწოდება “ნოქალაქევი” პირველად ჩნდება VIII საუკუნეში.

პირველი არქეოლოგიური გათხრები აქ 1930-31 წწ. განხორციელდა, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ არქიტექტურული ძეგლების აგების პირველი ფაზა ჩვ.წ. IV საუკუნეში დაწყებულა.




*ნოქალაქევის ქვედა ტერასის ხედი მთის წვერიდან. ციტადელი მდებარეობს ზღვის დონიდან 180 მეტრზე.*

ნოქალაქევი განლაგებულია 3 მხრიდან მდ. ტებურით შემოსაზღვრულ მთის ფერდობსა და მის ძირში. სამხრეთის (მეოთხე) მხრიდან მას ქვის გალავანი ზღუდავს. გალავანი სხვადასხვა საუკუნეში აგებული 3 პარალელური კედლისგან შედგება, მათგან უაღრესი – ჩვ.წ. IV საუკუნისაა. უგვიანესი კი, რომელიც აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით მიემართება და ციტადელის ჩათვლით მთელ ტერიტორიას აერთიანებს, VI საუკუნეში აუგიათ, როდესაც ამ ქალაქის მიდამოებში ბიზანტიისა და სპარსეთს შორის საომარი შეტაკებები მიმდინარეობდა. მასიური მშენებლობები ხორციელდებოდა ნოქალაქევში საუკუნეების განმავლობაში. ამის ერთი მაგალითია ქვის გალავანი, რომელიც ქვედა ტერასიდან მთის მწვერვალამდე მიემერთება და 21 000 მ<sup>2</sup>/16 000 მ<sup>2</sup> ფართობს შემოსაზღვრავს. მთლიანი კომპლექსი 20 ჰექტარზეა განფენილი.

# NOKALAKEVI-ARCHAEOPOLIS, GEORGIA

## ნოკალაქევი-არქეოპოლისი საქართველო



ნოკალაქევის კომპლექსის გენერალური გეგმა. შედგენილი პარმენ ზაქარაიას, დაგით  
ლომიტაშვილისა და პაულ კერძოლის მიერ.  
დიდი მადლობა დ. ლომიტაშვილს, რომელმაც ნახაზი მოგვაწოდა

კავკასიაზე გამავალი საგაჭრო გზის მიმართულების ცვლილებამ, რომელიც  
ევროპასა და აზიას ერთმანეთთან აკავშირებდა, ნოკალაქევი ერთ-ერთ  
სტრატეგიულ პუნქტად აქცია. 542-562 წლებში, ირან-ბიზანტიის ომების დროს,  
სწორედ აქ მიმდინარეობდა სასტიკი შეტაკებები. ისტორიიდან ცნობილია,  
რომ 3200 ბიზანტიელი მეომარი, ლაზებთან ერთად - სპილოებზე  
ამხედრებულ ირანელთა რამდენიმეათასიანი არმიისგან იცავდა ნოკალაქევის  
მისადგომებს. ქართული საისტორიო წერილობითი წყაროების მიხედვით, VIII

საუკუნეში ქალაქი არაბთა შემოსევების შედეგად საბოლოოდ დანგრეულა. აღნიშნული ფაქტი არქეოლოგიური კვლევების შედეგადაც დასტურდება.

საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად IV საუკუნის პირველ ნახევრაში გამოცხადდა. ნოქალაქევის კომპლექსი მოიცავს ქრისტიანული კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებს: IV საუკუნის ბაზილიკას; V საუკუნის შუა ხანების სამნავიან ბაზილიკას; VI საუკუნის ორმოცმოწამეთას სახელობის გუმბათიან ეკლესიას; VI საუკუნის 2 დარბაზულ ეკლესიას. IV საუკუნეშია გაჭრილი გვირაბიც, რომელიც ქალაქის ქვედა ტერასიდან მდ. ტერებულების სანაპიროზე უსაფრთხო ჩასვლას უზრუნველყოფდა. მის შესასვლელთან აგებული ე.წ. საგუშაგო კი V საუკუნეს განეკუთვნება. VI საუკუნეში გვირაბი თაღოვანი შესასვლელით მოურთავთ.

ციხე-გოჯი საუკუნეების განმავლობაში უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული, სავაჭრო და სტრატეგიული ცენტრი ყოფილა, ვიდრე 735-737 წლებში საქართველოში არაბთა საომარი კამპანიის შედეგად არ გაცამტვერდა და დაინგრა; მოგვიანებით, დასავლეთ საქართველოს ცენტრი ქუთაისში ინაცვლებს, ნოქალაქევი კი ერთი რიგითი სოფლის სტატუსს ინარჩუნებს.

### 3.2 დოკუმენტაცია

კულტურული მემკვიდრეობის საიტების დოკუმენტაცია შედგენილია აღნიშნულ სფეროში საქართველოში არსებული სტანდარტების მიხედვით. რეაბილიტაციის პროექტების ქველი საბუთები დაარქივებულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი; მასალის გარკვეული ნაწილი ეროვნული სააგენტოს ფონდებშია დაცული. ახალი სტანდარტები ამოქმედდა 2004 წლიდან და ამ დროიდან მიმდინარეობს ყველა ხელმისაწვდომი მასალის დიგიტალიზაციის პროცესი, რომელიც 2010 წელს დასრულდება.

2007 წელს განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების იდენტიფიცირების პროექტი, რომელიც GPS კოორდინატების გეგმებზე დატანას, საინკურარო ბარათების შევსებასა და სტანდარტულ ციფრულ სისტემაში დაფორმატებას გულისხმობდა. პროექტის ფარგლებში აღირიცხა 7 კომპლექსური ძეგლი, მათ შორის ნოქალაქევიც, რაც მეტად მნიშვნელოვანია ძეგლის საკადასტრო რეკებისა და დამცავი ზონების დაღვენისათვის. ნოქალაქევის საიტისათვის უკვე შეიცვლილ 15 სააღრიცხვო ბარათი, აქედან: 1 - მთლიანად საიტზე და 14 - კონკრეტულ ძეგლზე. საიტის დაცვის საკმაოდ დიდი ზონა, აქ წარმოდგენილი ძეგლების აღექვატურადაა შედგენილი. საგულისხმოა რომ, დამცავი ზონის მიღმაც კი მშენებლობაზე დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები.

სააღრიცხვო საბარათე სისტემა, ევროსაბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე, 2004 წელს ამოქმედდა. თითოეული სააღრიცხვო ბარათი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- სახელწოდება, მისამართი, დაქვემდებარება და სხვ.
- გეოგრაფიული მდებარეობა, განფენილობა ისტორია/ქრონოლოგია, ისტორიული სახელწოდება და წყაროები
- ძეგლის განსაზღვრება

- სტატუსი
- თარიღი, ფუნქცია, მეპატრონე
- აღწერა
- ძეგლის მდგომარეობა და რეკომენდირებული ზომები
- დაზიანებები – მიზეზები და საფრთხეები
- არსებული დოკუმენტაცია; ბიბლიოგრაფია
- კავშირი საიტის სხვა ძეგლებთან
- დამატებითი ინფორმაცია
- თარიღი და ხელმოწერა

საადრიცხვო ბარათი გვაძლევს კლასიფიკაციის შესაძლებლობას. მათ შორის, რა დოკუმენტი გვაქვს, რა გვაკლია.

ძეგლის პასპორტი, რომელიც გაცილებით მოცულობითი დოკუმენტია თავისი რუკებითა და ანაზომებით – ჯერჯერობით ნოქალაქევის საიტისათვის არ შექმნილა, თუმცა, სენაკის რაიონის საიტებისათვის პასპორტების შედგენის პროცესი 2007 წელს დაიწყო.

### **3.3 კონსერვაციის ისტორია**

XVII-XVIII საუკუნეებში დადიანების სამეფო ოჯახის მიერ ინიცირებული ნოქალაქევის რეაბილიტაციისას ძირითად სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადრეული სამშენებლო ფენებიდან მოხსნილი ქვები. დღესდღეობით, კი საკონსერვაციო სამუშაოებისათვის უმთავრესად მდინარის ქვა გამოიყენება. იმ პერიოდში აქ, ადგილზე აწარმოებდნენ და იყენებდნენ კირ-ხსნარს, მაშინ როდესაც XX საუკუნის 80-იან წლებში, კონსერვაცია-რეაბილიტაცია - ცემენტისა და კირხსნარის ნარევით განხორციელდა. 1970 წლამდე კომპლექსის შიგნით რამოდენიმე ოჯახი ცხოვრობდა, აქეე იყო გამართული მცირე საწარმოები და სკოლაც კი. მაგალითად, 1987 წლამდე VI საუკუნის სამეფო სასახლის ნანგრევებზე მარანი იყო მოწყობილი. 2001 წელს, სასახლის შემორჩენილ ნაშთებზე მოხდა სასახლის რეკონსტრუირება – გარკვეულ დონეზე. საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები 2000 წლის მერეც გაგრძელდა.

1980-იან წლებში, ნოქალაქევის კომპლექსზე ერთმა არქიტექტურულმა კომპანიამ განახორციელა აღდგენითი სამუშაოები. სწორედ ამ დროიდან დაიწყო არქიტექტურული ნახაზებისა და სამუშაოების დოკუმენტირება. ცემენტის ინტენსიური გამოყენების კვალი მეტ-ნაკლებად ყველგან აშკარაა. ცემენტით შედუღაბების ხარისხი კი განსხვავებული: კარგიდან – საკმაოდ უხეშად განხორციელებულ ინექტირებამდე. ცემენტმა დრმა ფენებამდე მიაღწია, ავთენტური ქვები დააზიანა და რიგ შემთხვევევაში ქვების დაშლა და ჩამოყრაც კი გამოიწვია. საბედნიეროდ, საქართველოს ამ რეგიონში ზომიერი ყინვებია, რაც მეტ-ნაკლებად იცავს ძეგლს მეტი დაზიანებისაგან.



VI ხაუკუნის ხამეფო აბანოს შესახვლელი. ტექნოლოგიურად ცუდად განხორციელებული ცემუნგირების კვალი ვიზუალურად ჩანს

### 3.4 სოციო-ეკომომიკური ვითარება

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, რეგიონი, თავისი განვითარებული ინფრასტრუქტურით, სოფლის მეურნეობითა და ქარხნებით ქვეყნის საკმაოდ მდიდარ არეალს წარმოადგენდა: აქ მოჰყავდათ სუბტროპიკული ხილის სხვადასხვა სახეობები (ციტრუსები, თხილი, დაფნის ფოთოლი), რომლის გასაღების ძირითად ბაზარს რუსეთი წარმოადგენდა: მოსახლეობა მისდევდა მეცხოველეობას; სახელმწიფო დაფინანსებაც დიდი იყო: ნოქალაქევის მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებული იყო აქ წარმოებულ არქოლოგიურ ექსპედიციებში. მაგალითად, სკოლის მოსწავლეები ზაფხულის არდაღების დროს. სირთულეები დაიწყო 1990 -იანი წლებიდან. სამოქალაქო ომის ცნობილი მოვლენების შედეგად საქართველოს ეს რეგიონი განსაკუთრებით დაზარალდა. 90-იან წლებში დაინგრა კულტურის სახლიც და ჯერჯერობით არ აღდგენილა. მხოლოდ რამოდენიმე წელია, რაც არეალი ნელ-ნელა უსაფრთხო და სტაბილური ხდება. ოუმცა დიდი მანუფაქტურები ჯერ კიდევ არ ამჟავებულა და მოსახლეობა ნატურალური მეურნეობით ირჩებს თავს. დღეისათვის ნოქალაქევში არსებობს ერთი სკოლა, რომელიც აერთიანებს დაწყებით და საშუალო განათლების საფეხურებს. დაგეგმილია ახალი სკოლის მშენებლობაც. სოციალური პროგრამები, რომელიც ნოქალაქევში ხორციელდება, დღესდღეობით ფოკუსირებულია 2008 წლის რუსეთის აგრესის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის – ლტოლვილთა დასახმარებლად. ნოქალაქევის საიტზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების პერიოდში აღგილობრივ მოსახლეობას მცირეოდენი შემოსავლის წყარო უჩნდება.

მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა, რომელთანაც ქართველ ხალხს მოუწია გამკლავება, ის ადაპტირდა და ცხოვრების მეტ-ნაკლებად ნორმალურ

პირობებს დაუბრუნდა. სასურველია როგორც რჩევების, ასევე ფინანსური დახმარების განხორციელებაც.

ერთიანი საბილეთო სისტემის შემოღების შედეგად, 2009 წლის აპრილ-ოქტომბრის პერიოდში, საიტზე 3500 ვიზიტორი დაფიქსირდა. ჯერჯერობით კვლავ პრობლემად რჩება უბილეთო ვიზიტორების საკითხი, რომელთა რაოდენობაც ჯერ კიდევ ბევრია, და ამის ერთერთი მიზეზი სალაროს მოუხერხებელ ადგილზე განთავსებაა. ვიზიტორთა უმრავლესობას სკოლის მოსწავლეები შეადგენენ. აქტიური პერიოდია გაზაფხულიდან – ადრე შემოღვმამდე; ასევე, არიან მიზნობრივი ვიზიტორები და ტურისტები. ბილეთის ფასი იდენტურია ყველასათვის გარდა: სოციალურად დაუცველი ფენებისათვის, დიდი ჯგუფებისათვის და მოსწავლე-სტუდენტებისათვის. მენეჯერებმა მეტი მუშაობა უნდა წარმართონ ინფორმაციის გავრცელებასა და საიტის რეკლამირებაზე, რათა მეტი ვიზიტორი მოიზიდონ; ასევე, საგზაო საინფორმაციო ბანერებზე, რომლის დადგმაც იგეგმება, თუმცა ჯერ არ არის განხორციელებული. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ფაქტი, რომ სააგენტო დიდი ხანი არ არის რაც ამჟმავდა (2008 წლიდან).

სენაკის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შედეგად, გააქტიურებულია მოსწავლე-სტუდენტებისა და სხვა ორგანიზებული ჯგუფების ვიზიტები საიტის დასათვალიერებლად. აქვე ახლოს განლაგებულია სამხედრო საწვრთნელი ბაზა. მიმდინარეობს მუშაობა მათ მოსაზიდად არა მხოლოდ ვიზიტორთა რანგში, არამედ კომპლექსზე გარკვეული აქტივობების განსახორციელებლადაც, როგორიცაა, მაგალითად, საიტის დაცვა და მისი გაწმენდა მცენარეული საფარისაგან. ასევე, არსებობს საზაფხულო ბანაკისათვის საიტის გარკვეული ფართობის გამოყოფის იდეა; ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რეწვის ნაწარმის გაყიდვა, რომელიც მათთვის დამატებითი შემოსავლის წყაროდ იქცევა და სხვა.

## 4 კონსერვაციის პრობლემები (სირთულეები)


### **4.1 გალავნის კედლები**

მიუხედავად იმისა, რომ კედლების გარკვეული ნაწილი აღდგენილია ან რეაბილიტირებულია ძველი ან ახალი ქვით, დიდი ნაწილი ხელშეუხებელი ნანგრევების სახითაა წარმოდგენილი. ამ ნანგრევების, განსაკუთრებით მთის წვერზე არსებული მოცულობითი და მაღალი მონაკვეთების დიდი ქვები მორყეულია, რის გამოც, არსებობს მათი ჩამოშლის რეალური საფრთხე. შექმნილი ვითარება განსაკუთრებით საშიშია ვიზიტორთა უსაფრთხოებისათვის. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რაც შეიძლება მაღალი მოხერხდეს დაცვისა და მონიტორინგის ზომების განხორციელება.

საქართველოში, კირი სამშენებლო მასალის სახით გამოიყენებოდა ჩვ.წ. III საუკუნიდან. ნოქალაქევში, მის შემავსებლად იყენებდნენ ადგილობრივი მდინარის ნაპირებიდან მოპოვებულ ქვიშას. იქ, სადაც ცემენტი არ არის გამოყენებული, კედლების მდგრადობა განსხვავებულია, მყარიდან – საშიშ არასტაბილურობამდე.

კირ-ხსნარის მარკერები ანალიზისათვის გაგზავნილია ინგლისში. მიუხედავად ამისა, ნორვეგიელთა ჯგუფმაც 2 მცირე ნაწილი წაიღო რიკსანტექარენში, დამატებითი შესწავლისათვის.

უნდა აღინიშნოს რომ, საკონსერვაციო მიზნებისათვის კირის გამოყენება ცემენტის მაგივრად არ არის მიღებული (საქართველოში). მიუხედავად იმისა რომ, ხარისხიანად განხორციელებული წერტილოვანი ცემენტირების შედეგად, გარკვეულ ადგილებში მიღწეულია სტაბილიზაცია, უმეტესი მონაკვეთები ცემენტის ზემოქმედებისაგან დაბზარულია, ავთენტური ქვები იფშვნება, ჩადის წყალი და საბოლოოდ ქვები ძირს იყრება. ნალექის პირდაპირი ზემოქმედების გამო, სიტუაცია განსაკუთრებით მძიმეა კედლების ზედა ნაწილებში, სადაც წყალი თავისუფლად აღწევს.



დაშლილი ცემენტი - IV საუკუნის აღდგენილ ქონგურებიან კოშკები



სამუშაო აბანოს კედლების ზედა ნაწილი: დაშლილი და ჩამოყრილი ცემენტი.  
ჩამოვარდნილი ქვის კვადრი

#### 4.2 მცენარეული საფარი

ქვის გალავნის უმეტესი ნაწილი სუროთია დაფარული, რომელიც თავისი ფესვებით ღრმად იჭრება ქვის სტრუქტურაში და აზიანებს მას. თუ სუროს ტოტების სისქისა და კედლებში ღრმად გადგმული ფესვების მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც ჩანს, ის აქ საკმაოდ დიდი ხანია რაც იზრდება. სურო ეჭიდება კედლებს და ქვის წყობაში იდგამს ფესვებს, რაც საბოლოოდ მისი დაზიანებისა და ჩამოშლის მიზეზად იქცევა. ნორვეგიელი ექსპერტების რეკომენდაციაა შესაბამის ექსპერტებთან ერთდ ამ პრობლემის დაძლევაზე საუბარი.

კოპლექსის ზედა ნაწილში მდებარე ციტადელი ხშირი ხეებითა და ბუჩქნარით არის დაფარული. შექმნილი ვითარება ძალიან ართულებს ძეგლთან მიახლოებას და მის შესწავლას. ამასთან, ბუჩქნარისა და ხეების ფესვები და ტოტები, ასევე, აზიანებს კედლების წყობას. საქართველოში ხეების მოჭრა მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტროს ნებართვის საფუძველზე შესაძლებელი, ამიტომ, ნორვეგიელ ექსპერტთა რჩევაა შესაბამისი ნებართვის საფუძველზე განხორციელდეს ამ მწვანე საფარისაგან ძეგლის განთავისუფლება, მხოლოდ მას შემდეგ, რაც გასუფთავებული არეალების შენარჩუნების სამოქმედო გეგმა შედგება.



მწვანე საფარით დაფარული VI ხაუჯუნის ნანგრევი.  
პედეკოგი ერთერთ ნანგრევზე; სავალე ბაზა უკანა პლანზე

25 წლის წინ, კომპლექსის ზედა ნაწილში, ძეგლის მიმდებარე ტერიტორიები მწვანე საფარისაგან გასასუფთავებლად საეციალური ქიმიური საშუალებებით იქნა შეწამლული, რასაც თითქმის 15 წლიანი ეფექტი ჰქონდა. მოგვიანებით, მცენარეების ზრდა ისევ გააქტიურდა. საზოგადოდ, ქიმიური საშუალებები მაინც არ არის რეკომენდირებული მწვანე საფარის კონტროლისათვის.



სურო ინტენსიურად იზრდება ქვის კუდლებზე და ძეგლის დაცულობისათვის  
ხერიონულ პროტექტიულ წარმოადგენს

დღეისათვის, მსხვილფეხა საქონელს აღარ უშვებენ კომპლექსის შიგნით. მართალია, ის, ნაწილობრივ, საიტზე არსებული მწვანე საფარის ბუნებრივი კონტროლის ფუნქციას ასრულებდა, თუმცა ძეგლებისათვის მიუენებული ზიანი უფრო დიდი იყო. ამრიგად, საჭიროა ბალახის ზრდის პროტექტის დასაძლევად სხვა ალტერნატივის განხილვა: ან ხელით მოცელვა, ან სხვა უფრო მცირე ზომის ცხოველების გამოყენება. ამ მიმართულებით, საუკეთესო არჩევანი იქნებოდა ცხვარი, რომელიც პირწმინდად ასუფთავებს მოელ ბალახს. დასავლეთში, ამგვარ საიტებზე არსებობს ცხვრების გამოყენების პრაქტიკა. სამწუხაროდ, ამ რეგიონის საეციფიკური ჰავის გამო, ცხვრების მოშენება ფაქტიურად არ ხდება. ადგილობრივ მოსახლეობას ყავს თხები, მაგრამ ისინი თავისი რქებით, ასევე, აზიანებენ ძეგლს. სწორედ ამიტომ, განხილული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველაზე უსაფრთხო ისევ ცელის ან ბალახის საკრეჭი მანქანის გამოყენებაა.

#### 4.3. ეკლესიის მოხატულობა

ნოქალაქევის გუმბათოვანი ეკლესია აგებულია VI საუკუნეში, მოწამეობრივად დაღუპული 40 სებასტიანელი ლეგიონერის სახელზე. XVII-XVIII საუკუნეებში ის დადიანების სამეფო ოჯახმა კარის ეკლესიად ადადგინა. XX საუკუნეში ტაძარი მეცნიერულად იქნა შესწავლილი, რის შედეგადაც, მიჩნეულ იქნა, რომ თავდაპირველად ის დარბაზულ ეკლესიას წარმოადგენდა, რომელსაც მოგვიანებით დაედგა გუმბათი. რამოდენიმე ხნის წინ, როდესაც ეკლესიის ხელახლი გადახურვა მიმდინარეობდა, გუმბათის ყელის საფუძველში, აღმოჩნდა მის მთელს პერიმეტრზე ჩაწყობილი V-VI საუკუნეების ამფორები. ამგვარი აკუსტიკური ხერხი VI საუკუნის ჩათვლით გამოიყენებოდა. ყოველივე ამან დაადასტურა გუმბათის ავთენტურობა.

თავდაპირველად, ეკლესიის დასავლეთ ნაწილში მოწყობილი იყო ნარტექსი. დღესდღეობით ის აღარ არსებობს და მხოლოდ გეგმის დონეზე იკითხება. მის აღმოსავლეთ კედელზე, რომელიც დღეს ეკლესიის გარე ფასადს წარმოადგენს, შემორჩენილია XVI-XVIII საუკუნეების კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. XIX საუკუნეში, მეფის რუსეთის პერიოდში, ფრესკები შეუდესავთ. უცხოელი ექსპერტების დახმარებით მოხერხდა ამ შელესილობების ნაწილობრივი მოხსნა. 1970-იან წლებში მოხდა ჩამოცვენილი ფრაგმენტების ფიქსაცია და დაზიანებული ნაწილების ცემენტით შელესვა.

იმის გამო, რომ ამჟამად მოხატულობა ლია ცის ქვეშაა და, შესაბამისად, განსაკუთრებით მგრძნობიარეა კლიმატური პირობების მიმართ, ის სულ უფრო და უფრო ზიანდება.

აუცილებელია კედლის მხატვრობის ფრაგმენტების კონსერვაცია – ბუნებრივი კლიმატური პირობებისაგან დასაცავად (იხ. რეკომენდაციები, მე-7-ე თავი). ნარჩენების ხელახალი აღდგენა სასურველი არ არის.



VI საუკუნით დათარიღებული ორმოცმოწამეთა კედლების მდებარეობს გალავნის შიგნით, საველე არქოლოგიურ ბაზასთან ახლოს.

კედლის მხატვრობა, რომელიც ოდესაც გადასახის ნარტექსის სამხრეთ კედელზე იყო წარმოდგენილი, დღესდღეობით, ლია ცის ქვეშ არის და ბუნებრივი ნალექების გამო მეტწილად დაზიანებულია.

#### 4.4 ხის ოდა-სახლი

ხის ტრადიციული სახლი, მდებარეობს ნოქალაქევის საიტის შესასვლელთან. ის სავარაუდოდ XIX – XX სს. მიჯნის შენობაა; სტრუქტურით, ტიპოლოგიითა და მასალით, ის დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ბანიანი საცხოვრისის მაგალითია.

საიტთან მიმართებაში ხის ოდა-სახლს აქვს მნიშვნელოვანი დისლოკაცია: მდებარეობს ნოქალაქევის საიტის შესასვლელთან, სოფლის ძირითად მაგისტრალზე, რომელსაც გააჩნია როგორც ადილობრივი, ასევე რაიონული მნიშვნელობა; იგი აღქმადია შორი მანძილიდან და ერთგვარად საიტის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სასურველია რომ სახურავი შეიცვალოს ტრადიციული კრამიტის გადახურვით. შესაბამისი რეაბილიტაციისა და აღჭურვის შედეგად, აქ დაგეგმილია საინფორმაციო ცენტრის განთავსება, რომელიც მოემსახურება

საიტზე მოსულ ვიზიტიორებს. ნორვეგელების მხრიდან იდეა მოწონებული და მხარდაჭერილია (რეკომენდაცია 7).



*bob თდა ხახლი - ნოქალაქევის კომპლექსის ხამხრეთის გაღავნის გარეთ*

## 5. პრეზენტირება

### **5.1 ნოქალაქევის მუზეუმი**

მუზეუმი მდებარეობს საიტთან ახლოს, სოფელში. ნაგებობა თავდაპირველად აგებული იყო სოფსაბჭოსათვის და 1980 წლიდან გადაეცა მუზეუმს. დღესდღეობით, შენობა, რომელსაც კარგი პოტენციალი გააჩნია, მოძველებულია და აუცილებლად საჭიროებს განახლებას როგორც სტრუქტურული, ასევე ტექნიკური აღჭურვის თვალსაზრისით.

მუზეუმში დასაქმებულია 11 ადამიანი:

- მმართველი;
- 4 გიდი, ამათგან ერთ-ერთი ითავსებს ფონდების მცველის ფუნქციას;
- ფინანსისტი;
- 3 მცველი;
- 2 დაცვის თანამშრომელი (ერთი მუზეუმში და ერთი-საიტზე).

მმართველი - პროფესიონალი; დანარჩენები: 1 – ისტორიკოსი, 1 – ბუღალტერი, 2 – ფილოლოგი, რესული და ინგლისური ენების სპეციალისტი.

მუზეუმის დაუცველობის გამო, საიტზე აღმოჩენილი მნიშვნელოვანი არტეფაქტები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, მაშინ როდესაც, აქ, ადგილზე ძალიან მწირი ექსპოზიციაა წარმოდგენილი.

ნოქალაქევის საიტზე, წელიწადში 2 თვის განმავლობაში ფუნქციონირებს არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც გააჩნია საკუთარი ლაბორატორია,

თუმცა დირექტორის სურვილია დააფუძნოს სარესტავრაციო ლაბორატორია უშუალოდ მუზეუმში, რომელიც მუდმივმოქმედი იქნება და მთელ დასავლეთ საქართველოს მოემსახურება.



ნოქალაქევის მუზეუმი

მუზეუმი ფინანსდება სააგენტოს მიერ - სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აუცილებელია სააგენტოდან მეტი დაფინანსება, რათა გაუმჯობესდეს საიტის მდგრმარეობა და ინფრასტრუქტურა, რაც, თავის მხრივ, ამ უნიკალურ კომპლექსზე, მეტი ვიზიტორისა და სტუმრის მოზიდვის და, შესაბამისად, შემოსავლების გაზრდის აუცილებელი წინაპირობაა. დღევანდელი მდგრმარეობით, ძალიან რთულია ვიმსჯელოთ მის შემდგომ განვითარებაზე.


## 5.2 საიტის პრეზენტირება და ტურიზმი

კომპლექსის ტერიტორიაზე ვიზიტორები თავისუფლად დადიან, ყველანაირი ინფორმაციის, მანიშნების, ბილიკების ან შეზღუდვების გარეშე. მართალია, ამჟამად, მნახველთა უმეტესი ნაწილი, იქნება ეს სკოლის მოსწავლეები თუ უცხოელები, ორგანიზებულად მართულ ჯგუფებს წარმოადგნენენ, რაც ნაკლებ პრობლემებს ქმნის ამ მიმართულებით, ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის პარალელურად, თავის ნებაზე მიშვებული ვიზიტორი საკმაოდ დიდ საფრთხესა და პრობლემებს წარმოქმნის ძეგლის დაცვისთვის.

საიტის პრეზენტირების სისტემატიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია ვიზიტორთა სამართავად. მინიმუმ, აუცილებელია სამარშრუტო ბილიკების დაგეგმარება-მოწყობა – მომსვლელთა მოძრაობის რეგულირებისათვის; ასევე, აუცილებელია საიტის შესახებ საინფორმაციო მეგზურების მომზადება: როგორც ბუკლეტების, ასევე, სტაციონალური მანიშნების სახით. VII თავში წარმოდგენილია რეკომენდაცია ქართულ-ნორვეგიული ვორქშოფის მოწყობის შესახებ, რომლის უმთავრესი მიზანიც, გამოცდილების გაზიარებისა და დისკუსიების საფუძველზე პრაქტიკული გადაწყვეტილებებისა და შედეგების მიღწევაა.

ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ნოქალაქევს საუკეთესო მდებარეობა გააჩნია. ის განლაგებულია ქუთაისთან ახლოს, სვანეთის მთებსა და შავი ზღვის სანაპიროს შორის. კულტურული მემკვიდრეობის საიტის გარდა, ნოქალაქევი ბუნებრივი რესურსებით მდიდარ არეალსაც წარმოადგენს: ცხელი წყლებით, მდინარის კანიონებით, თევზაობისა და ცურვის არაჩვეულებრივი შესაძლებლობებითა და სხვ. სწორედ ამიტომ, ის არაჩვეულებრივი ადგილია კომპლექსური მარშრუტების დაგეგმვისთვის და საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია საქართველოში ტურიზმის განსავითარებლად.

ნოქალაქევის მისი დროს მიღებულ იქნა მემორანდუმის შედგენის გადაწყვეტილება, რომელიც სააგენტოსათვის სტრატეგიულ იარაღად იქცევა და რომელშიც ასახული იქნება ნოქალაქევში ტურიზმის განვითარების პრიორიტეტები მიმართულებები. აღნიშნული მემორადნუმი წინამდებარე ანგარიშს თან ახლავს და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (იხ. დანართი).



*IV-V სს. სასახლე და გარნიზონის ნაწილი (მარჯვნივ) - ხედი სამხრეთის გალავნის წერტილიდან*

## 6. მენეჯმენტ-გეგმის შედგენა

ნოქალაქევი წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ობიექტებისგან შემდგარ საიტს, რომელიც მართვის კომპლექსური ზომების განხორციელებას საჭიროებს. აუცილებელია მენეჯმენტის ერთიან კონცეფციაში სხვადასხვა მიმართულებების თავმოყრა და ურთიერთდაქვემდებარება.

კომპლექსური საიტებისათვის მენეჯმენტ-გეგმის შედგენის პრინციპების უკეთ გასაგებად, ნორვეგიელმა პარტნიორებმა ჯერ კიდევ მისი განხორციელებამდე ქართველ კოლეგებს მიაწოდეს მენეჯმენტის სამოქმედო

გეგმები: აზეირბაიჯანის გობუსტანის კლდის ხელოვნების კულტურული ლანდშაფტისათვის (2006) და ყაზახეთის ტამგალის არქეოლოგიური ლანდშაფტისათვის (2004). ნოქალაქევის საიტის შესწავლისა და თეორიული მასალის განხილვის შედეგად, სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა, რომ ნოქალაქევის კომპლექსისათვის უპრიანი იქნებოდა 3 ან 4 მიმართულების სამოქმედო გეგმის შედგენა:

### **1. დოკუმენტაცია და კონსერვაცია**

- არსებული დოკუმენტაციის შესწავლა,
- კონსერვაციის მდგომარეობის განსაზღვრა მთლიანი კომპლექსისათვის,
- კონსერვაციის (ზოგადი) მდგომარეობის განსაზღვრა ცალკეული ძეგლებისათვის,
- ძეგლების მდგომარეობის შეფასება (ჩამოვარდნილი ქვები, საფრთხეები და სხვ.),
- ვორქშოფი ქვის ოსტატებისათვის (იხ. მე-7-ე თავში წარმოდგენილი რეკომენდაციები);
- კონსერვაციის მდგომარეობაზე დაფუძნებული რეაბილიტაცია-კონსერვაციის პროგრამა,
- საკუთრების საკითხი: უფლებები და ვალდებულებები.



ნოქალაქევის საველე ბაზაზე ქართულ-ნორვეგიული ჯგუფის მუშაობა, მარცხილან: ჰელსკონი, ვარძელაშვილი, დოლიძე, ტანხემი, ლომიტაშვილი, თუმანიშვილი

### **2. მენეჯმენტი, მონიტორინგი და შენარჩუნება**

- მწვანე საფარის მენეჯმენტი დაფუძნებულია:
- მწვანე საფარის მდგომარეობის შეფასების ანგარიშზე (მოწვევული სპეციალისტის მიერ),
  - o მწვანე საფარი – დაცვის საშუალება და ესთეტური საკითხი,
  - o სუროს პრობლემა,
  - o ხეები, ბუჩქები და ბალახი.
- საიტის ნაგვისგან გაწმენდის მენეჯმენტი,

- მუზეუმის თანამშრომლთა შტატის გაზრდა – საიტ-მენეჯერის პოზიციის შემოღებით,
- მუზეუმის თანამშრომლების შტატის გაზრდა – ქვის კონსერვაციის გამოცდილების მქონე სპეციალისტის დამატებით,
- მუდმივი მონიტორინგის რეჟიმის დამყარება (ვიზიტორთა ქცევის, ძეგლთა ნანგრევების, მწვანე საფარისა გაკონტროლების მიზნით და სხვ.)

### **3. პრეზენტირება: განათლება, ინფორმაცია, ტურიზმი:**

- საიტის ინფორასტრუქტურისა და პრეზენტაციის ვორქშოფი (იხ. რეკომენდაცია №7)
- საიტზე ვიზიტორთა ბილიკების – მარშრუტების განსაზღვრა
- ხის ოდა-სახლის რეაბილიტაცია (იხ. რეკომენდაცია №7) და ადაპტაცია ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრად
- თრეინინგი სკოლის მასწავლებლებისათვის
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება
- ადგილობრივი პროდუქციის განვითარება – გასაყიდად
- არაგამაღიზიანებელი საინფორმაციო მანიშნები
- ვიზიტორთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- ვიზიტიორებისათვის საზოგადოებრივი სველი წერტილების მოწესრიგება
- ნოქალაქევის შესახებ სამეცნიერო-პოპულარული ალბომის/წიგნის გამოქვეყნება
- სხვადასხვა მიმართულებების შესახებ დოკუმენტური ფილმების გადაღება (მაგალითად – გათხრებზე, კონსერვაციაზე, ტურიზმზე და ა.შ.)
- მუზეუმის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, თრეინინგი
- მუზეუმის თანამშრომელთა შტატის გაზრდა – სამუზეუმო პედაგოგის პოზიციის დამატებით
- ადგილობრივი მოსახლეობის ყოველწლიური მოპატიუება

მენეჯმენტი გეგმის შემადგენელ კომპონენტებზე მსჯელობისას, გამოიკვეთა აზრი რომ, მას დამატებოდა მეოთხე სამოქმედო გეგმა – არქეოლოგიის მიმართულებით. ვინაიდან ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ საიტზე აქტიურად წარმოებს არქეოლოგიური კვლევები, ლოგიკურია რომ ეს კომპონენტი მენეჯმენტ-გეგმის დამოუკიდებელ მიმართულებას წარმოადგენდეს.

## **7. რეკომენდაციები**

რიკსანტეკვარენსა და შესაბამის სამინისტროებისთვის მხარდასაჭერად წარსადგენი რეკომენდაციები:

### **1. ვორქშოფები:**

რეკომენდირებულია ქართულ-ნორვეგიული 2 ვორქშოფის განხორცილება:

1. ძეგლის ნანგრევების კონსერვაციის ვორქშოფი;
2. საიტის პრეზენტაციის ვორქშოფი.

ვორქშოფების დრო განისაზღვრა 2010 წლის ოქტომბრით და ჩატარდება პარალელურად, რადგანაც ეს ერთი შეხედვით დამოუკიდებელი საკითხები ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან. ვორქშოფების მიზანია გამოცდილების გაზიარება და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება.

### **ქართულ ნორვეგიული ვორქშოფი – ქვის რესტავრაციებისათვის:**

ნოქალაქევში, რომელიც ქვის ძეგლების საკმაოდ მასშტაბურ საიტს წარმოადგენს, უმეტესი საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ცემენტის გამოყენებით იყო განხორციელებული, რის გამოც, დროთა განმავლობაში, ძეგლები კიდევ უფრო მეტად დაზიანდა: უმეტესი მონაკვეთები ცემენტის ზემოქმედებისაგან დაბზარულია, ავთენტური ქვები იფშვნება, ჩადის წყალი და ძირს იყრება.


განსხვავებულია ცემნეტირების ხარისხიც: არის კარგად დამუშავებული მონაკვეთები და იქვე უხეშად შესრულებული ცემენტის უსწორმასწორო ფენები. ვორქშოფის შედეგად, ქართველი კოლეგები გაიღმავებენ უნარჩვევებს ძეგლის ცემენტისგან გამონთავისუფლებისა და ტრადიციული მასალით კონსერვაციის თანამედროვე მეთოდოლოგიების მიმართულებით.

აღნიშნული ვორქშოფისათვის, რამოდენიმე ფაქტორის გამო, შეირჩა V-VI საუკუნეებით დათარიღებული სამეფო აბანო. იგი წარმოადგენს ისტორიულ ძეგლს და ნოქალაქევის საიტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს; ზომით არც ისე დიდია; კონსერვაცია, რომლისთვისაც ცემენტი იყო გამოყენებული, დაახლოებით 20-25 წლის წინ განხორციელდა და საიტის სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით ნაწილობრივ გამოქარული და ადგილად მოსახსნელია.

აბანოს გეგმარება და სტრუქტურა დიდწილად ავთენტური სახით არის შემორჩენილი: არსებული კედლები დაბალია, აქვს ცხელი, და ცივი კამერები; შემორჩენილია იატაკის ორიგინალური წყობა; ქვის რამოდენიმე ბლოკი მორდვეულია და ჩამოვარდნილი; პირველადი სამშენებლო მასალა არის კირქვა და კრამიტი.

შესაძლებელია რომ წინმსწრებად საჭირო გახდეს ნორვეგიული ექსპერტების ჩამოსვლა და აღნიშნული ვორქშოფის უფრო დეტალურად დაგეგმვა.

რიკსანტეკვარენს აქვს კარგი გამოცდილება ნორვეგიული და უცხოელი ოსტატების ერთობლივი პროექტების განხორციელებაში. მაგალითად, საქართველოში (ხის ნაგებობების რეაბილიტაციის პროექტი ბეთლემის უბანში). უკვე 10 წელია რაც, რიკსანტეკვარენი აწყობს ქვის კონსერვაციის ვორქშოფებს ნორვეგიული ოსტატებისათვისაც. ამგვარად, ვფიქრობთ რომ, ქვის კონსერვაციის ვორქშოფი, რომელიც ნოქალაქევში ქართველი ოსტატებისათვის – ნორვეგიული ექსპერტების მიერ ჩატარდება, მეტად ნაყოფიერი და შედეგიანი იქნება.



V-Vo სს. სამეფო აბანოს გეგმა, პარმენ ზაქარაიას მიხედვით;  
ღიღი მადლობა დ. ლომიტაშვილს, რომელმაც ნახაზი მოგვაწოდა



სამეფო აბანოს ნანგრევები – სამხრეთიდან

## **საიტის პრეზენტირების ქართულ-ნორვეგიული ვორქშოფი**

ნორვეგიული მისიის 3 წარმომადგენელს დაუგროვდა კარგი გამოცდილება სხვადასხვა კომპლექსური საიტების პრეზენტირების პროექტების შედგენაში, მაგალითად – ალტას მუზეუმისათვის – ნორვეგიაში; ტამგალის საიტისათვის – ყაზახეთში, სარმოშეების კომპლექსისათვის – უზბეკეთში, გობუსტანისათვის – აზერბაიჯანში, ჰალდეიქიშისათვის – პაკისტანში და ზალავრუგას კომპლექსისათვის – რუსეთში. ნორვეგიის ოსტფოლდში, ასევე, შედგა და განვითარდა საიტის პრეზენტირების პროექტები. ვფიქრობთ, რომ ეს გამოცდილების მიღების კიდევ ერთი კარგი შესაძლებლობაა როგორც ნორვეგიელი, ასევე ქართველი ექსპერტებისათვის.

ვორქშოფის უმთავრესი მიზანია ანგარიშის 5.2 თავში აღწერილი პრობლემების დაძლევა: დღევანდელი მდგომარეობით, კომპლექსის შიგნით, ვიზიტორები თავისუფლად დადიან, ყველანაირი ინფორმაციის, მანიშნების, ბილიკების ან შეზღუდვების გარეშე. აუცილებელია ვიზიტორთა მართვის სისტემის შექმნა - სამარშრუტო ბილიკების დაგეგმვა-მოწყობა – მომსვლელთა მოძრაობის რეგულირებისათვის; საიტის შესახებ საინფორმაციო მეგზურების მომზადება: როგორც ბუკლეტების, ასევე სტაციონალური მანიშნების სახით. სასურველია, რომ ვორქშოფის მონაწილეებმა წინმსწრებად მოამზადონ საიტის პრეზენტირების საკუთარი კონცეფციები, რომელიც განხილული იქნება ვორქშოფზე.

### **2. ხის ოდა-სახლის რეაბილიტაცია:**



*ხის ოდა სახლში საინფორმაციო ცენტრის განთავსებამდე, წინმსწრებად  
სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა ჩატარდეს*

ხის ოდა სახლი, მდებარეობს ნოქალაქევის საიტის შესასვლელთან. სავარაუდოდ, ის, XIX–XX საუკუნის მიჯნის შენობაა. სტრუქტურით, ტიპოლოგიითა და მასალით, ის დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ბანიანი საცხოვრისის მაგალითია.

საიტან მიმართებაში, ხის ოდა-სახლს აქვს მნიშვნელოვანი დისლოკაცია: მდებარეობს ნოქალაქევის საიტის შესასვლელთან, სოფლის ძირითად მაგისტრალზე, რომელსაც გააჩნია როგორც ადილობრივი, ასევე რაიონული მნიშვნელობა; იგი აღქმადია შორი მანძილიდან და ერთგვარად საიტის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. რეაბილიტაციისა და აღჭურვის შედეგად,

ხის ოდა-სახლში დაგეგმილია საინფორმაციო ცენტრის განთავსება, რომელიც საიტზე მოსულ ვიზიტორებს მოემსახურება.

დღესდღეობით, არანაირი თანხა არ არის ამ შენობის რეაბილიტაცია-ადაპტაციისათვის, მაგრამ ნორვეგიული თანამონაწილეობით, ეს შესაძლებელი გახდება.

ამ პოტენციური პროექტის შესახებ უკვე მოხდა გასაუბრება აზეირბაიჯანსა და საქართველოში აკრედიტებულ ნორვეგის სრულუფლებიან ელჩობი, რომლის რეზიდენციაც ბაქოშია და რომელმაც დიდი დაინტერესება გამოხატა აღნიშნული საკითხის მიმართ.

### **3. ეკლესიის გარე კედლის მხატვრობა**

IV თავის მე-3-ე ქვეპუნქტში აღწერილი პრობლემის გადაწყვეტის საკითხი, რომელიც ნოქალაქევში მდებარე ორმოცმოწამეთას სახ. ეკლესიის დასავლეთ ფასადის კედელზე შემორჩენილ კედლის მხატვრობას ეხება, სამწუხაროდ, ამ დარგში გამოცდილების ნაკლებობის გამო ნორვეგიული ექსპერტების მხრიდან უპასუხოდ დარჩა. თუმცა გაჩნდა ამ ფრაგმენტების შუშის ერთგვარ ბუდეში მოთავსების იდეა, რომელიც მეტ-ნაკლებად დაიცავს მას კლიმატური პირობებისაგან. შუშის ბუდე იქნება როგორც საექსპოზიციო, ასევე დაცვის საუკეთესო საშიალება.

ამ საკითხის გადასაჭრელად, რიკსანტეპარენი ითხოვს კვალიფიციური ექსპერტების დახმარებას.



*ორმოცმოწამეთას ეკლესია, დასავლეთ ფასადის სამხრეთ კედელზე შემორჩენილი კედლის მხატვრობის ნაშენები*

## 8. სამუშაოთა გეგმა-გრაფიკი

ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკი შემუშავდა თანხების სავარაუდო მოზიდვისა და ქართულ - ნორვეგიული მხარდაჭერის საფუძველზე.

2009	
ნორვეგ-დეკმბერი	ნორვეგიული მისიის ანგარიში ინგლისურად. პირველი ვერსიის შედგება ქართული ჯგუფის ვიზიტამდე ნორვეგიაში; თარგმნა ინგლისურიდან ქართულად.
20 დეკემბრამდე	რიკსანტეკვარენის მიერ ანგარიშის დაბჭდვა და გამოგზავნა
2010	
5-15 იანვარი	ნორვეგიის სამინისტროებისა და რიკსანტეკვარენის შეხვედრა
< 1 თებერვალი.	ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროში – ორი ვორქშოფისა და ხის ტრადიციული სახლის რეაბილიტაციის საპროექტო წინადადებების წარდგენა
აპრილ/მაისი	თუ შესაძლებელი იქნება პიგენისა და ჰელსკოგის ვიზიტი საქართველოში - უზბეკეთის გზაზე.
30 ივნისი	მენეჯმენტ-გეგმის მონახაზის დასრულება (მასტერ პლანი და 3 სამოქმედო გეგმა)
ოქტომბრის დასაწყისი	ვორქშოფები – ქვის კონსერვაციასა და საიტის პრეზენტაციაში; მენეჯმენტ-გეგმის განხილვა
20 დეკემბრამდე	ვორქშოფის ანგარიშები ინგლისურად და ქართულად; მენეჯმენტ-გეგმის დასრულება
2011	
მაისის დასაწყისი	ნორვეგიის წარმომადგენლების შემაჯამებელი ვიზიტი საქართველოში
30 ივნისი	პროექტების დასრულება
1 სექტემბერი	ქართული და ნორვეგიული მხარის საბოლოო ანგარიშები ინგლისურ-ქართულად

## დანართი

### მემორანუმი:

ნოქალაქევი როგორც რეგიონის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი

ნოქალაქევი - ისტორიულად და კონტექსტუალურად კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უნიკალური კომპლექსია საქართველოში. ის გაშლილია ფართო, მშვენიერ არეალზე და ხასიათთება მატერიალური და ბუნებრივი მემკვიდრეობის პარმონიული სინთეზით. ულამაზეს ლანდშაფტში მიმობნეული მონუმენტური ძეგლები არაჩვეულებრივ ემოციურ განწყობას ქმნის და ასაზრდოებს შოაგონებასა და წარმოსახვას.

ნოქალაქევი ტურიზმის განვითარებისათვის საკმაოდ ხელსაყრელ ადგილზეა: ის მდებარეობს ქუთაისთან ახლოს და შავი ზღვის სანაპიროსა და სვანეთის მთებისკენ გამავალ გზაზე, რომელიც თავისთვად ერთ-ერთი პოპულარული და ეგზოტიკური ადგილია როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ტურიზმის თვალსაზრისით. მიუხედავად უდიდესი ისტორიული მნიშვნელობისა, და პოტენციალისა, ნოქალაქევი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ ათვისებული. თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა. ტურისტს აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ

რეკრეაცია, ის თანაბარი ხარისხით ცდილობს გაიღრმავოს როგორც კულტურული, ასევე ბუნებრივი გარემოს შემცნებიდან მიღებული გამოცდილება. რეკრეაციისა და კულტურული გამოცდილების კომბინირება, რომელიც აქ, დასავლეთ საქართველოს უმშვენიერეს კუთხეში ხდება შესაძლებელი, სწორედ ტურისტული პოტენციალის განვითარების წანამდლვრებს ქმნის.

რა თქმა უნდა, ტურიზმი არ უნდა განისაზღვრებოდეს ცალკეული შემთხვევებით და უნდა ვითარდებოდეს მდგრადი განვითარების სტრატიული გეგმის მიხედვით. ამასთან, ის არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს კულტურული მემკვიდრეობის საიტსა და ადგილობრივი თემის ტრადიციებსა და ფასეულობებს.

საიტისა და ადგილობრივი საზოგადოების ინტერესებისა და ფასეულობების გათვალისწინებით რეგულირებული და მართული ტურიზმი მხოლოდ სარგებელს მოუტანს როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე მთელს რეგიონსა და ერს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მაგალითად ნორვეგიაში, კულტურული მემკვიდრეობა განიხილება როგორც რეგიონალური განვითარების უმთავრესი ინსტრუმენტი.

სოფელი ნოქალაქევი, კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსის გარდა წარმოგვიდგენს სხვადასხვა სარეკრეაციო კომპონენტების მთელს სპექტრს, როგორიცაა: თევზსაცავები, მდინარის კანიონები, ცხელი წყლების წყაროები - ძველი აბანოს ნაშთებით და სხვა. ყველაფერი ეს, არაჩვეულებრივ საშუალებას იძლევა კომპლექსური მარშრუტების დაგეგმვისათვის და სხვადასხვა ტიპის ტურიზმის განვითარებისათვის. ჩვენ მოვისმინეთ იდეა - ამ ადგილის აქტიური დასვენების ზონად გადაქცევისა. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში, აუცილებელ პირობად უნდა იქნეს ამ უმშვენიერესი ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის საიტის დაცვა და შენარჩუნება.

ამდენად, ნოქალაქევს საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია იქცეს ტურიზმის ერთერთ ყველაზე აქტიურ და მიმზიდველ სივრცედ, სადაც აქცენტები თანაბრად გადანაწილდება როგორც ბუნებრივ, ასევე კულტურულ მემკვიდრეობაზე.